

Image not found or type unknown

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა არღვევს ფუნდამენტურ უფლებებს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის არსებული ფორმით შენარჩუნება ყოველდღიურად იწვევს არაერთი პირის ფუნდამენტური უფლებების დარღვევას.

დღეისათვის საქართველოში მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შემორჩენილია საბჭოთა პერიოდიდან, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სამართლიანი პროცესის მოთხოვნებს. მოქმედი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი ცალკეული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ითვალისწინებს მძიმე სახდელებს, მათ შორის, ადმინისტრაციულ პატიმრობას, თუმცა, აწესებს გაცილებით ნაკლებ პროცედურულ გარანტიებს, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს გააჩნია. მაგალითად, არ ითვალისწინებს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორებიცაა:

- გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ხელმძღვანელობა;
- უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა;
- ეფექტური წარმომადგენლობის განხორციელება და სხვა.

სასამართლო ამ ფორმით მოქმედი კანონმდებლობის გამოყენებით ყოველწლიურად ათასობით პირის საქმეს განიხილავს. მაგალითისათვის, მხოლოდ წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მუხლებით ყოველწლიურად დაახლოებით 10 000 პირის საქმე განიხილება. [ხშირია შემთხვევები](#), როდესაც ეს მექანიზმი გამოიყენება მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციების მონაწილეთა წინააღმდეგ, ისე, რომ უფლებების სათანადოდ დაცვა სასამართლოში ვერ ხდება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმის გატარების უზრუნველსაყოფად საია იწყებს აქტიურ საქმიანობას და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას უფლებების შემზღვეველი კანონმდებლობის შესაცვლელად, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოში სტრატეგიული სამართალწარმოების გზით (ამ დრომდე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სხვადასხვა მუხლებზე საიას უკვე აქვს წარდგენილი 4 საკონსტიტუციო სარჩელი, რომელიც განხილვის პროცესშია). საია მზადაა რეფორმის გატარების ხელშესაწყობად ითანამშრომლოს ყველა სახელმწიფო უწყებასთან თუ სხვა დაინტერესებულ პირთან.

აქვე გვსურს ავღნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის შეცვლის აუცილებლობა აღიარებულია ხელისუფლების მიერ, კოდექსის პროექტი, რომელზე მუშაობაც სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშემწყობმა სამთავრობო კომისიამ დაახლოებით ორი წლის წინ დაასრულა, ამ დრომდე არ არის ინიცირებული საქართველოს პარლამენტში. ამიტომაც, კრიტიკულად მნიშვნელოვანად მიგვაჩნია რომ ხელისუფლებამ, ყველა დაინტერესებული ჯგუფის მონაწილეობით და ჩართულობით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის ძირეული რეფორმა დაიწყოს.